

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გოჩა კილაძის
2015 წელში გაწეული მუშაობის შესახებ
ანგარიში**

როგორ შეიძლება არ იყო ამაყი და ბედნიერი, იმით, რომ გაქვს საშუალება ესაუბრო იმ ადამიანებს, რომლებმაც გაჩუქეს დიდი სიტბო, სიხარული, რომლებთანაც გაკავშირებს წინაპრები, ჭირისა და ლხინის გაზიარება... ჩემო სილაურლებო, წარსულში ჩვენ ერთად გადავიტანეთ ძალადობა, სიძულვილი, გაჭირვება, შიმშილი... მაგრამ მიუხედავად მძიმე დროისა, თქვენი, როგორც ჩემი თანასოფლელების თანადგომის, დახმარების, გამოხატული სიტბოს გამო არასოდეს მიფიქრია დამეტოვებინა ჩემი სოფელი. სწორედ ჩემი და ჩემი ოჯახის სოფლისადმი ერთგულება ბუმერანგით დამიბრუნდა უკან, რაც გამოიხატება ჩემდამი დიდი ნდობით, რომ ვყოფილიყავი სილაურის ხმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში. პირველი, რაც ჩემს გუნდთან „ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველოსთან“ ერთად პირველივე სხდომაზე მივიღეთ, არის რეგლამენტი, რომელიც მე და ყველა ჩემს კოლეგას გვავალდებულებს წარვსდგეთ ამომრჩევლის წინაშე ანგარიშით. ამ ვალდებულებას ვეკიდები დიდი პასუხისმგებლობით, ამიტომაც დღეს აქ ვისაუბრეთ იმაზე თუ რა გაკეთდა 2015 წელს და რა დაიგეგმა 2016 წლისათვის. მზად ვარ კიდევ ერთხელ მოვისმინო ყველა ის შენიშვნა და შეკითხვა, რაც ჩემს თანასოფლელებს აწუხებს და სტკივა. გარდა თქვენი დიდი ნდობისა, საკრებულოშიც მაკისრია ძალიან დიდი მისია, რასაც უმრავლესობის ლიდერობა ქვია. ამ მნიშვნელოვანი პოზიციის მიუხედავად, არცერთი წამით არ დავცილებულვარ და დავშორებულვარ ყველა იმ პრობლემას, რაც თითოეულ ჩემს სილაურელს აწუხებს, ამიტომაც ბევრი კოლეგა მსაყვედურობს, რომ ვარ მიკერძოებული, ხანდახან საკითხებზე მსჯელობისას არ ვარ ობიექტური და ვარ სუბიექტური, თუმცა გავამხელ, რომ ზუსტად ამ ჩემმა სუბიექტურმა მიდგომებმა და ჩემმა კოლეგებში ავტორიტეტმა შემაძლებინა, რომ ღირსეულად ვყოფილიყავი გამარჯვებული პარტიის ფრაქციის თავმჯდომარე და არასოდეს ჩემს ფრაქციას არ მიუღია თითოეული ჩემი ოზურგეთელის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება.

შეიძლება ითქვას სილაურში გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია და ამაზე არც არავის არ ვეკამათები, მაგრამ შემიძლია სიამაყით ვთქვა, რომ როდესაც ვიხილავდით 2015 წლის ბიუჯეტს, პირველი რასაც მხარი დავუჭირე, არის ის, რომ N1 პრიორიტეტი

ყოფილიყო ინფრასტრუქტურა და ალბათ ყველა ჩემი თანასოფლელი დამეთანხმება, რომ თუ გადავხედავთ სილაურს, რა მდგომარეობაა ინფრასტრუქტურის კუთხით, ვერავინ ვერ მისაყვედურებს თუ რატომ მოვიქეცი ასე და არა სხვანაირად. და ზუსტად ამის გამო, ამ სწორი მიდგომების გამო დაიხარჯა სილაურში 93689 ლარი, რითაც რეაბილიტაცია გაუკეთდა სოფლის ადმინისტრაციულ შენობას, სადაც განთავსებულია საბავშვო ბაღი, ამბულატორია, ბიბლიოთეკა, გამგებლის წარმომადგენლის ოფისი.

ასევე კარგად მაქვს გათვითცნობიერებული, რომ განათლებული მომავალი თაობის გარეშე არამარტო სილაურის, არამედ ქვეყნის განვითარებაზე საუბარი ზედმეტია, N2 პრიორიტეტად ჩემმა ფრაქციამ განათლება გამოყო და ზუსტად ამის გამო დღეს თითოეული ჩემი თანასოფლელის ბავშვი დადის კომფორტულად მოწყობილ ბაღში, იღებს ეკოლოგიურად სუფთა საკვებს და ყველა მისი მშობელი უსაფრთხოდ გრძნობს თავს. ასევე მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი ვალდებულება არ არის მუნიციპალიტეტი ჩაერიოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საქმიანობაში, მაგრამ ჩემი ფრაქცია ერთი წამითაც არ დაფიქრებულა, როდესაც ჩვენმა მეგობარმა და თანამებრძოლმა და ჩვენი საკრებულოს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ბატონმა დიმიტრი კვერდელიძემ მოგვმართა ინიციატივით, ყველა ის ნიჭიერი ბავშვი, რომელიც მიიღებს 100%-იან გრანტს დაგვეჯილდოებია 3000 ლარით და აღმზრდელი სკოლა 1000 ლარით. ამ ინიციატივამ წარმატებით იმუშავა და უკვე 2 ბავშვი და 2 სკოლა დავაჯილდოვეთ აღნიშნული თანხით. ბედნიერი ვიქნები, რომ 2016 წელს უფრო მეტ ბავშვს და სკოლას დავაჯილდოვებთ. ასევე ამ მიმართულებით ჩვენს ფრაქციას არც 2016 წელში არ შეუჩერებია ნოვაციები და 2016 წლის ბიუჯეტში გავითვალისწინეთ 60 000 ლარი სკოლების კაპიტალური შეკეთებისათვის.

როგორ შემემლო ამდენი ჩემი თანასოფლელის გაჭირვების შემხედვარე, როცა ვხედავ რომ მათ არ აქვთ წამლის ფული, რომ არ აქვთ საშუალება ექიმთან მისვლის, N3 პრიორიტეტად ბიუჯეტში არ გამეთვალისწინებინა სოციალური პროგრამები და ზუსტად ამ მიმართებით სილაურში დაიხარჯა 4250 ლარი, რითაც სხვადასხავ სოციალური პროგრამით დაფინანსდა 22 მოქალაქე.

ასევე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ მერაბ ჭანუყვამეს, რომ მან საშუალება მომცა თავისი სარეზერვო ფონდიდან დავხმარებოდი 11 ადამიანს 3 000 ლარით. ასევე მე ჩემს გუნდთან ერთად ერთი წამითაც არ მიმიტოვებია ჩემი თანასოფლელები სტიქიის

დროსაც. ამ მიმართულებით დაიხარჯა 79 730 ლარი: სოფლის სხვადასხვა უბანში დაიგო ბეტონის საფარიანი გზა, მოეწყო ხიდი.

ჩვენ რომ ხალხთან ყველაზე ახლოს მდგომი ხელისუფლება ვართ, ეს გამოიხატება იმაში, რომ მიუხედავად იმისა, რომ მე, როგორც თქვენს ერთ-ერთ თანასოფელს მქონდა სხვა მოსაზრებები თუ რა უნდა განხორციელებულიყო სოფლის მხარდამჭერი პროგრამით, მაგრამ არასოდეს მიმიღია ერთპიროვნული გადაწყვეტილებები. უბრალოდ მინდა შეგახსენოთ ანალიზისათვის, რომ 2015 წელს გამოიყო 26298 ლარი და განხორციელდა სხვადასხვა სამუშაოები.

იგივე მიდგომები გაგრძელდება 2016 წელსაც თუ რა უნდა გაკეთდეს იგივე პროგრამით.

რაც შეეხება 2016 წელს, მინდა სასიხარულოდ დავაანონსო, რომ ერთხელ და სამუდამოდ ჩემს სოფელში გადაწყდება გამრიცხველიანების საკითხი.

რაც არ უნდა გულანთებული ვიყო მე ჩემი სოფლისათვის, ვერაფრის გაკეთებას ვერ შევძლებდი ვერც წარსულში და ვერ მომავალში, რომ არა ჩემი მეგობრები და კოლეგები საკრებულოში, ასევე ჩემი თანამებრძოლის და მეგობრის ბატონ დავით დაჩიას ხელმძღვანელობით, რისთვისაც მინდა დიდი მადლობა ვუთხრა თითოეულ მათგანს და მადლიერი ვიყო მათი.

და ყველაზე მთავარი, რაც მინდა დაგპირდეთ და გითხრათ, მე, გოჩა კილაძე არასოდეს გავქეცევი არცერთი ჩემი თანასოფელის პრობლემებს, არასოდეს გავუცხოვდები ჩემს მშობლიურ ხალხს და არასოდეს ჩემს გუნდთან ერთად არ გავცემ ცრუ დაპირებებს და ეს ასე რომ იქნება და არა სხვანაირად, ამის გარანტი არის ის, რომ მე და ჩემი ოჯახი და ჩემი შვილები ახლაც და მას შემდეგაც, როცა მე არ ვიქნები თქვენი სახე ოზურგეთის მუნიციპალიტეტში უნდა ვიცხოვრო თქვენთან ერთად და გავიზიარო ყველა ის სიხარული და ტკივილი, რომელიც ჩემს სოფელს შეაწუხებს მომავალში.